თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5389595

ნომერი: AR1823180

თარიღი : 24.04.2021

გაცემის თარიღი : 29.04.2021

გაცნობის თარიღი : 29.04.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამგორი , N 2 , (ნაკვეთი N8/98);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კირკიტაძე პ/ნ 01013012659
- თბილისი პეკინის გამზ. N 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსერვისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ -საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, რომელიც წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, სადაც „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–16 მუხლის მიხედვით განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით და ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები, რომლის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, რისთვისაც პირველ რიგში უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მომართეთ არქიტექტურის სამსახურს, რომლის დროსაც წარმოსადგენი იქნება:

- ტოპოგრაფიულ გეგმაზე დამუშავებული სქემატური გენგეგმა
- ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობები 01.00.324 (სს "სილქნეტი"- ს საკომუნიკაციო ნაგებობა) და 01.00.019 (შპს "ახტელი"-ს სატელეფონო კავშირგაბმულობის ხაზი). წარმოსადგენი იქნება სს "სილქნეტი"- ს და შპს "ახტელი"-ს თანხმობები განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით , როგორც წერილობითი, ისე დამოწმებული გრაფიკული მასალა (გენ-გეგმა) სახით.
- "ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა)" ველში უნდა მიუთითოთ ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით

ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.